საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია

ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25
ტელ: (032) 2285477

№ 6-14/26

26 12 2016 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატის
საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ *გიორგი ბერიძეს*

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ 2016 წლის 26 დეკემბრის სხდომაზე უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-10 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, განიხილა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის, დავით თარხან-მოურავის ადგილმონაცვლის ზაზა ოქუაშვილის უფლებამოსილების ცნობის საკითხი და მოამზადა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე გიგზავნით:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტს – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის დავით თარხან-მოურავის ადგილმონაცვლის ზაზა ოქუაშვილის უფლებამოსილების ცნობის შესახებ";
- საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის დასკვნას;
- საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 2016 წლის 26 დეკემბრის №9 სხდომის ოქმის ამონაწერს.

გთხოვთ, წარმოდგენილ დადგენილების პროექტს, უმაღლესი საბჭოს უახლოეს რიგგარეშე სესიაზე გატანის მიზნით მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

დანართი: -4 ფურცელი

პატივისცემით,
კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია

09-01-08/66
26 12 2016
5 ფურცელი

06-02-11/3530
1 4
26 12 2016

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომისია

ჩაქვი, მეგენეიშვილის ქ. №25
ტელ: (032) 2285477

№ 6-14/26

26 12 2016 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის დავით თარხან-მოურავის ადგილმონაცვლის ზაზა ოქუაშვილის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ცნობის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ 2016 წლის 26 დეკემბრის სხდომაზე, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-10 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, განიხილა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის დავით-თარხან მოურავის ადგილმონაცვლის ზაზა ოქუაშვილის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ცნობის საკითხი.

როგორც ცნობილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 15 დეკემბრის №13 დადგენილებით დავით თარხან-მოურავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვადამდე შეუწყდა უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 70-ე მუხლის შესაბამისად, უმაღლეს საბჭოში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2016 წლის 26 დეკემბრის №72 განკარგულება - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის ნაცვლად მისი ადგილმონაცვლის ცნობის თაობაზე“. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის დავით თარხან-მოურავის ადგილმონაცვლედ წარმოდგენილია ზაზა ოქუაშვილის კანდიდატურა (პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, სახელწოდებით - „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“-ს პარტიული სიის მე-2 ნომერი).

უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებას თან ერთვის კანდიდატურის განცხადება (თანხმობა) უმაღლესი საბჭოს წევრობაზე და 2016

წლის 14 ოქტომბერს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს“ დასკვნა №006110716.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ უმაღლესი საბჭოს მიერ ცნობილ იქნეს ზაზა ოქუაშვილის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილება.

დანართი: -1- ფურცელი

კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია

<u>**პროექტი**</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის დავით თარხან-მოურავის ადგილმონაცვლის ზაზა ოქუაშვილის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. ცნობილ იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის დავით თარხან-მოურავის ადგილმონაცვლის ზაზა ოქუაშვილის უფლებამოსილება.
2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ჩაქვი,
2016 წლის
№

ა მ ო ნ ა წ ე რ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის 2016 წლის 26 დეკემბრის №9 სხდომის ოქმიდან

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარის ნინო ჩხეტიას ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის დავით თარხან-მოურავის ადგილმონაცვლის ზაზა ოქუაშვილის უფლებამოსილების ცნობის შესახებ.

გადაწყვიტეს:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს წარედგინოს კომისიის დასკვნა, ხოლო უმაღლეს საბჭოს – დადგენილების პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გამოკლებული წევრის დავით თარხან-მოურავის ადგილმონაცვლის ზაზა ოქუაშვილის უფლებამოსილების ცნობის შესახებ“.
2. დადგენილების პროექტზე მომხსენებლად დაინიშნოს კომისიის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია.

კომისიის თავმჯდომარე ნ. ჩხეტია ნინო ჩხეტია